

მსოფლიოს გეოგრაფია 10 ● გეოგრაფიის სახელმძღვანელო მეთექვსმეტე ტომის

მსოფლიოს გეოგრაფია

10

მაია ბლიაძე, გია ჭანტურია, დავით კერესელიძე

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012).



გაერ სულააკურის
გამომცემლობა

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა



1.	რა არის მსოფლიოს პოლიტიკური რუკა	8
2.	მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირება უძველესი დროიდან 1914 წლამდე	14
3.	მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირება 1914 წლიდან დღემდე	19

ქვეყნების ტიპოლოგია



4.	ქვეყნები ტერიტორიის სიდიდის მიხედვით	26
5.	ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით	30
6.	ქვეყნები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით	32
7.	ქვეყნები ბუნებრივი რესურსების მიხედვით	37
8.	ქვეყნები ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით	43
9.	ქვეყნები მმართველობის ფორმის მიხედვით	46
10.	ქვეყნები საგარეო-პოლიტიკური კურსის მიხედვით	49
11.	ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით	52
12.	განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები შემაჯამებელი სამუშაო I	56

საერთაშორისო ორგანიზაციები



13.	გაერო	64
14.	ნატო	69
15.	ევროკავშირი და ევროსაბჭო	71
16.	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სუამი	76
17.	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი)	79
18.	თანამეგობრობა	82
19.	ნითელი ჯვრისა და ნითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა	85
20.	ოლიმპიური კომიტეტი	88
	შემაჯამებელი სამუშაო II	90

მოსახლეობა

21.	კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორია	94
22.	მოსახლეობის აღწარმოების ტიპები	97
23.	დემოგრაფიული გადასვლის თეორია და ფაზები	99
24.	დემოგრაფიული აფეთქება და პოლიტიკა	102
25.	მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურა	106
26.	მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა	110
27.	მსოფლიოს მოსახლეობის ლინგვისტური კალეიდოსკოპი	113
28.	მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურა	119
29.	მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი	125
	შემაჯამებელი სამუშაო III	130

IV
თავი

მსოფლიოს რეგიონები და ქვეყნები

30.	მსოფლიოს რეგიონები	134
31.	ევროპა	138
32.	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	146
33.	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	153
34.	საფრანგეთის რესპუბლიკა	163
35.	აზია	172
36.	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	178
37.	ინდოეთის რესპუბლიკა	187
38.	იაპონია	195
39.	თურქეთის რესპუბლიკა	202
40.	ჩრდილოეთი ამერიკა	210
41.	ამერიკის შეერთებული შტატები	215
42.	სამხრეთი ამერიკა	225
43.	ბრაზილია	232
44.	ჩილე	240
45.	აფრიკა	246
46.	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	256
47.	ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა	265
48.	ავსტრალია და ოკეანეთი	273
49.	ავსტრალია	278
	შემაჯამებელი სამუშაო IV	285
	დანართები	289

V
თავი



I თავი

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

შეიტყობ:

- რა არის მსოფლიოს პოლიტიკური რუკა;
- როგორ ხდებოდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბება;
- რა ცვლილებები ხდება მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე.



შეძლება:

- u გამოყო მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები;
- u იმსჯელო, როგორ აისახება მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები;
- u აღნიშნო კონტურულ რუკაზე მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ცვლილებები.

1. რა არის მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

ლექსიკონი

გეოპოლიტიკა – სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში გეოგრაფიული ფაქტორის როლი და მისი გავლენა ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე.

მეტროპოლია – სახელმწიფო, რომელიც ფლობს კოლონიებს.

სუვერენული სახელმწიფო – ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებელია საერთაშორისო ურთიერთობებში და უმაღლეს ხელისუფლებას მთელ საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებს.

კოლონია – ტერიტორია საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ხელისუფლების გარეშე, რომელიც დაპყრობილია მეტროპოლიის მიერ.


დამოკიდებული ტერიტორია – ტერიტორია, რომელიც არ ფლობს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუვერენიტეტს.


დე ფაქტო – ფაქტობრივად; საერთაშორისო სამართალში დე ფაქტო ცნობა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის არასრულ ცნობას.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ისეთი გეოგრაფიული რუკაა, რომელზეც ასახულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა საზღვრებით, დედაქალაქებით, მსხვილი ქალაქებითა და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალებით.

დავალება

1. გაიხსენე ისტორიის კურსიდან, როდის გაჩნდა დედამიწაზე პირველი სახელმწიფოები და რა ფაქტორები ახდენდა გავლენას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სახელმწიფოთა წარმოშობა-გაქრობაზე?
2. როდის და ვინ შექმნა პირველი რუკა? რა იყო მასზე ასახული?
3. დააკვირდი რუკებს და გაიხსენე, ვის მიერ და როდის არის ისინი შედგენილი? შენი აზრით, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ეს რუკები პირველ პოლიტიკურ რუკებად?





ნახ. 1.1. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

დავალება

4. შენი აზრით, რისთვის გვჭირდება ვიცოდეთ, როგორ ყალიბდებოდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა?
5. ეთანხმები თუ არა მოსაზრებას, რომ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ისტორიული კატეგორიაა და დროში იცვლება? პასუხი დაასაბუთე.
6. მსოფლიოს პოლიტიკური რუკის (დანართი №1) გამოყენებით ჩამოთვალე თითოეული კონტინენტის (ავსტრალია-ოკეანეთთან ერთად) ხუთი სახელმწიფო დედაქალაქებითა და მოსაზღვრე ქვეყნებით.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირება მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, იგი ათასწლეულები გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში მან არაერთი ისტორიული ეტაპი განვლო. სხვადასხვა ეტაპზე მსოფლიოს პოლიტიკური რუკის წამყვან პოლიტიკურ ერთეულებს სხვადასხვა ქვეყნები წარმოადგენდა. მსოფლიოს პოლიტიკური რუკის განვითარების ხანგრძლივი პერიოდი შეიძლება ხუთ ეტაპად დაიყოს.

ნახ. 1.2. პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები

ფორმირების ეტაპები	წამყვანი ქვეყნები
1. ძველი პერიოდი: უძველესი დროიდან V საუკუნემდე	ძველი ეგვიპტე, ძველი საბერძნეთი, კართაგენი, ძველი რომი
2. შუა საუკუნეების პერიოდი: V-XV საუკუნეები	ბიზანტია, ინგლისი, კიევის რუსეთი, ესპანეთი, პორტუგალია
3. ახალი პერიოდი: XVI საუკუნე - 1914 წლამდე	ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდი
4. უახლესი პერიოდი: 1914 წლიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე	აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, სსრ კავშირი, იაპონია
5. თანამედროვე ეტაპი: XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე	აშშ, გაერთიანებული სამეფო, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, ბრაზილია

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მუდმივად იცვლება და ძირითადად გარკვეული პერიოდის გეოპოლიტიკურ სიტუაციასა და მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესზეა დამოკიდებული. ეს ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი ხასიათის.

ნახ. 1.3. ცვლილებები მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე

რაოდენობრივი	თვისობრივი
ახალი ტერიტორიების აღმოჩენა (ძირითადად, წარსულში)	საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ისტორიული ცვლა
სხვადასხვა ტერიტორიის დაპყრობა ომების შედეგად	პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვება
სახელმწიფოთა დაშლა და გაფართოება	სახელმწიფოთა მოწყობის ახალი ფორმების დამკვიდრება
სახელმწიფოთა მიერ ხმელეთის გარკვეული ნაწილის ნებაყოფლობით დათმობა ან გაცვლა	სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური კავშირების და ორგანიზაციების შექმნა
სანაპირო ზოლის დაპყრობა	ე.წ. „ცხელი წერტილების“ – საერთაშორისო თუ რეგიონალური კონფლიქტების კერების წარმოქმნა და მათი გაქრობა

დავალება

7. იმსჯელე, რა განსხვავებაა მსოფლიოს პოლიტიკური რუკის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს შორის? რომელი მათგანი უფრო მეტად ახდენს გავლენას პოლიტიკური რუკის ცვლილებაზე?

მესამე ათასწლეულში კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება საერთაშორისო თუ რეგიონალური მნიშვნელობის კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებაა, რაშიც უდიდესი როლი გეოპოლიტიკას ენიჭება.

გეოპოლიტიკის, როგორც საგარეო პოლიტიკური პრაქტიკის, მთავარი მიზანია სახელმწიფოს გეოგრაფიული მდგომარეობის ანუ ნებისმიერი ქვეყნის გეოსტრატეგიის შემუშავება. გეოპოლიტიკური მიდგომის სინთეზური შესწავლა ნებისმიერი ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიულ, სოციალურ-პოლიტიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და ქვეყნის სხვა სიძლიერის განმსაზღვრელ ფაქტორთა კომბინირებულ შესწავლასა და შეფასებას გულისხმობს.

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც გეოგრაფიულ ფაქტორს, ასევე ეკონომიკურ და სტრატეგიულ პოზიციებს, ქვეყნის წარსულს, მეზობელთან ამ ქვეყნის ნებისმიერ ურთიერთობას, მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას.

XX საუკუნეში მიმდინარე პროცესებმა უდიდესი გავლენა იქონია არაერთი დიდი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განვითარების თავისებურებაზე. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც რუსეთის სახელმწიფოს გეოპოლიტიკური „რეგალიების“ ცვლა ამ საუკუნის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ასევე დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის გეოპოლიტიკური ფაქტორების განვითარების თავისებურებებში. მაგალითად, მეტად საინტერესოა საფრანგეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობა. ბოლო ასწლეულმა ნათლად ასახა ის უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქვეყნის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში და რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონია საფრანგეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობის თანამედროვე პოზიციების ჩამოყალიბებაზე.

ნებისმიერი ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ძირითადი კრიტერიუმებია: ტერიტორიის მასშტაბები, საზღვრების ბუნება, ზღვაზე გასასვლელი, მოსახლეობის რაოდენობა, ბუნებრივი რესურსები, ფინანსური სიძლიერე, ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე, ეთნიკური ერთგვაროვნება, სოციალური ინტეგრაციის დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, ეროვნული თვითშეგნება.

დავალება


8. მსოფლიოს პოლიტიკური და ნახევარსფეროების რუკების (დანართი №1 და №2), ასევე დამატებითი მასალის გამოყენებით დაახასიათეთ ერთი რომელიმე ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა შემდეგი გეგმის მიხედვით:
- ა) ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა;
 - ბ) ეკონომიკური და სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა;
 - გ) გეოპოლიტიკური მდებარეობა (მეზობელი ქვეყნები და მათი სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-რელიგიური მდგომარეობა);
 - დ) ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან და ადგილი რეგიონში.

დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე 200-ზე მეტი სახელმწიფოა. მათ შორის 194 სუვერენული ერთეულია (მაგალითად, აშშ, გერმანია, კანადა, სინგაპური, ეთიოპია, ფიჯი და ა.შ.), დანარჩენი კი – დამოკიდებული ტერიტორიები (მაგალითად, ახალი კალედონია, ფოლკლენდის კუნძულები, გიბრალტარი და სხვ.).

1952 წელს მსოფლიოში 82 სუვერენული სახელმწიფო იყო, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 55-ს შეადგენდა. ამ პერიოდში მეტროპოლიებს ხელთ ეპყრათ მთელი ხმელეთის თითქმის 55% (73 მლნ კვ.კმ), სადაც იმდროინდელი მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 36% (531,3 მლნ კაცი) ცხოვრობდა.

სპეციალისტების პროგნოზით, მომავალში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. სავარაუდოდ, გაიზრდება სახელმწიფოთა რიცხვი ეთნიკური პრინციპების გათვალისწინებით. ამასთან, სახელმწიფოთა საზღვრები, რომლებიც არ შეესაბამება მის საზღვრებში მცხოვრებ ეთნოსებს, დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. მეორე მხრივ, ასევე დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო პოლიტიკური კავშირები.



ნახ. 1.4. დამოკიდებული ტერიტორიები



დავალება

9. რატომ ახდენდა თითოეული ისტორიული ეპოქა მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების პროცესზე განსხვავებულ გავლენას, მაშინ როცა პოლიტიკური რუკის შეცვლის მიზეზები (მაგალითად, გეოგრაფიული აღმოჩენები, ომები, რელიგიური კონფლიქტები, სოციალური რევოლუციები და სხვ.) ყველა ეპოქისთვის ერთნაირად იყო დამახასიათებელი?
10. ამჟამად მსოფლიოში არსებული დამოკიდებული ტერიტორიების ფართობი ხმელეთის 1%-ზე ნაკლებს შეადგენს. ნახ. 1.4-ის მიხედვით მოიყვანე მათი მაგალითები და დაადგინე, რომელ სახელმწიფოებს ეკუთვნიან ისინი?
11. განალაგე დროის ხაზზე მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები.
12. შენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა მომავალში ცვლილებები მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე? როგორ წარმოგიდგენია მსოფლიოს პოლიტიკური რუკა 100 წლის შემდეგ?
13. აღნიშნე კონტურულ რუკაზე თითოეული ისტორიული ეპოქის წამყვანი ქვეყნები.



- u ზოგიერთ ტერიტორიას სპეციალური სტატუსი აქვს მინიჭებული. ასეთი ტერიტორიებია, მაგალითად, ანტარქტიდა, რომელიც ნეიტრალური ტერიტორიაა და ის არც ერთი ქვეყნის მიერ არ არის აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ანტარქტიდაზე რამდენიმე სახელმწიფო სპეციალურ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას ახორციელებს;
 - u რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულს მსოფლიოში არა აქვს საერთაშორისო აღიარება, თუმცა ისინი დე ფაქტო დამოუკიდებელი მმართველობის ერთეულები ან სახელმწიფოები არიან. მათი უმრავლესობა სუბნაციონალური რეგიონია საკუთარი ეთნო-ნაციონალური თვითმყოფადობით, რომლებიც მათ მშობელ ქვეყანას ჩამოსცილდნენ (გამოეყვნენ) და ამიტომ ხშირად მათ სეპარატისტულ სახელმწიფოებსაც უწოდებენ.
-  ჩრდილო კვიპროსის თურქული რესპუბლიკა მაშინ შეიქმნა, როცა კვიპროსზე 1974 წელს ხელისუფლების სათავეში რადიკალურად განწყობილი ძალები მოვიდა, რომელსაც საბერძნეთის მმართველი ხუნტა უჭერდა მხარს. კვიპროსზე შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია თურქეთში განიხილებოდა, როგორც საბერძნეთის ხელისუფლების მცდელობა, რომ კვიპროსი საბერძნეთთან მიეერთებინა. ამის საპასუხოდ თურქეთმა კვიპროსის თურქებით დასახლებული ნაწილის ოკუპაცია მოახდინა. დღეისათვის თურქეთის მიერ კვიპროსის ტერიტორიის 35%-ია ოკუპირებული. 1983 წელს თურქეთის მხარდაჭერით გამოცხადდა ჩრდილო კვიპროსის თურქული რესპუბლიკის შექმნა. ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური ერთეული, თურქეთის გარდა, მსოფლიოს არც ერთმა ქვეყანამ არ ცნო.
-  კოსოვო ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. სერბეთის კონსტიტუციის მიხედვით, ის სერბეთის რესპუბლიკის ნაწილია. კოსოვოს დამოუკიდებლობა გაეროს 62-მა წევრმა-ქვეყანამ აღიარა.